



გლობალური ბაზრების მიმოხილვა


გლობალური ბაზრები
პერიოდული
17 თებერვალი, 2021

- ამერიკული აქციებისთვის თებერვალი საკმაოდ კარგად დაიწყო და ძირითადად ამერიკულმა ინდექსებმა რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია. ზრდის მთავარი მიზეზი ამერიკის მხრიდან მოსალოდნელი ფისკალური სტიმულია. ჯო ბაიდენის მიერ შეთავაზებული \$ 1.9 ტრილიონის ფისკალური სტიმულირების პაკეტის განხილვა კონგრესში დაწყებულია (გადაწყვეტილება მოსალოდნელია მარტში). აღნიშნულ პაკეტს რამდენიმე ცნობილი ეკონომისტი დაუპირისპირდა, ინფლაციური წნეხის გაზრდის არგუმენტებით. თუმცა, აშშ-ს სახაზინო მდივანი ჯანეტ იელენი კონგრესს მოუწოდებს, მიიღონ კანონპროექტი. მისი შეფასებით, ამ პაკეტის მიღების შემთხვევაში, ამერიკა შეძლებს უმუშევრობის მინიმუმამდე შემცირებას. გარდა ამისა, ჯანეტ იელენმა ასევე ურჩია G7-ის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებსა და ცენტრალურ ბანკირებს, არ შეამცირონ ფისკალური სტიმულირების პაკეტი.
- ჯო ბაიდენის მსხვილი სტიმულირების პაკეტი აუმჯობესებს ამერიკის ეკონომიკის აღდგენის მოლოდინებს, რაც ასევე მოსალოდნელია რომ გაზრდის ინფლაციას. გაზრდილმა ინფლაციის მოლოდინებმა ამერიკაში გრძელვადიანი ობლიგაციების ფასების შემცირება და შესაბამისად შემოსავლიანობის ზრდა გამოიწვია. ამერიკის 30 წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობა ერთი წლის განმავლობაში პირველად გადაცდა 2%-ს.
- ბიტკოინმა კიდევ ერთი რეკორდი მოხსნა და 15 თებერვლის მდგომარეობით \$50,000-ს გადააჭარბა, რაც 2020 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 74%-ით მაღალია. აღსანიშნავია, რომ ბიტკოინის ფასის ზრდას ხელი შეუწყო ვოლ სტრიტის გიგანტების მხრიდან გაზრდილმა ინტერესმა, მათ შორის BNY Mellon და Mastercard. გარდა ამისა, 8 თებერვალს, ელონ მასკის ტესლამ დაანონსა კრიპტოვალუტაში რეკორდული \$1.5 მილიარდი ინვესტიციის შესახებ, რამაც ბიტკოინის ფასის ზრდას შეუწყო ხელი.
- ევროპაში, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა იტალიის მთავრობაში, სადაც პრემიერ მინისტრის პოსტზე დაინიშნა ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, მარიო დრაგი. აღნიშნული ცვლილება ინვესტორების მხრიდან საკმაოდ კარგად იქნა მიღებული და იტალიის ობლიგაციებზე შემოსავლიანობა დაეცა (ცნობისათვის ობლიგაციის ფასი და შემოსავლიანობა უკუპროპორციულია). ამასთან, საკმაოდ დიდი იყო ინვესტორების ინტერესი იტალიის ახალი ობლიგაციების ემისიაზე (მოთხოვნამ 134 მილიარდ ევროს მიაღწია).

S&P 500 (აშშ)




Dow Jones Industrial Average (აშშ)




NASDAQ (აშშ)




STOXX 600 (ევროპა)



FTSE 250 (ლონდონი)



**Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)**



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით

- საერთო ჯამში, ძირითადი ამერიკული ინდექსებისთვის თებერვალი საკმაოდ კარგად დაიწყო. თებერვლის პირველ 2 კვირაში S&P 500 5.9%-ით გაიზარდა, ხოლო Dow Jones ინდექსი კი 4.9%-ით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე კარგი შედეგი ენერგეტიკულმა კომპანიებმა აჩვენეს, რაც ნავთობის გაზრდილ ფასებს უკავშირდება. ტექ-კომპანიებით დატვირთული NASDAQ-ის ინდექსი კი თებერვლის პირველ ნახევარში 7.8%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში ასევე გაიზარდა ევროპული აქციებიც, STOXX 600-მა თებერვლის პირველ ორ კვირაში 6.0%-იანი ზრდა აჩვენა, ხოლო FTSE 250 კი 5.9%-ით გაიზარდა.
- 2021 წლის თებერვლის პირველ ნახევარში აზიური აქციების ფასები გაიზარდა. ჩინეთის Shanghai Composite 4.9%-ით გაიზარდა, ხოლო იაპონიის Nikkei 225 კი 8.8%-ით გაიზარდა და 1991 წლის შემდეგ პირველად გადასცდა 30,000-ის ნიშნულს. იაპონიაში ზრდას ხელი შეუწყო 2020 წლის მე-4 კვარტალში საკმაოდ კარგმა ეკონომიკურმა ზრდამ და კოვიდის შემთხვევების შემცირებამ.


ნავთობი და ოქრო

- თებერვლის პირველ ნახევარში ნავთობის ფასების ზრდა გაგრძელდა, Brent ტიპის ნავთობმა ერთი წლის განმავლობაში პირველად გადაჭარბა \$60-ს. აღნიშნულ ზრდას ხელს უწყობს ვაქცინებით გამოწვეული ეკონომიკური აღდგენის მოლოდინები, მსხვილი სტიმულირების პაკეტი და ნავთობმწარმოებლების მხრიდან შემცირებული მიწოდება. ბევრი ანალიტიკოსი 2021 წელს ნავთობის ფასების ზრდის გაგრძელებას მოელოს, ზოგი მათგანი კი ნავთობის ფასების მნიშვნელოვან ზრდას პროგნოზირებს.
- ოქროს ფასები თებერვლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 15 თებერვლის მდგომარეობით ტროის უნციაზე ოქროს ფასმა \$ 1,819 შეადგინა, რაც იანვრის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით მცირედით დაბალია (-1.6%).


Volatility/მერყეობა ბაზარზე

- იანვრის ბოლო კვირაში კაპიტალის ბაზრებზე გაზრდილი არასტაბილურობის შემდეგ, რაც საცალო ინვესტირების მხრიდან გამოწვეულ ვოლატილობას უკავშირდება, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი - VIX - 15 თებერვლის მდგომარეობით მნიშვნელოვნად შემცირდა და 20-ზე დაბალ ნიშნულზე დავარდა.

Nikkei 225 (იაპონია)




Shanghai Composite Index (ჩინეთი)




ოქრო



ნავთობი (WTI)



ვოლატილობა (Vix)



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გაერცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გაერცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჰანიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: researchgt@gt.ge